სახალხო გაზეთი

№ 751 პარასკევი, 16 ნოემბერი 1912 წ. № 751

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, ფუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 შაბეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ საავტრო სახლის ლ. და მ. პეტერსონ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე ყვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები; [illegible] პარაკვნა შეიძლება ყოველ-დღე ყვირა-უქმეების გარდა, [illegible] საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. 3[illegible] ემია **„გრდემლის"** მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მომდინარე წლის პრემიის შესახებ **უუფრადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

ბიოგრაფიებისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 8 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., [illegible] მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

13 გიორგობისთვეს დაბა ხონში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

არისტო ვასილის ძე ქუთათელაძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **დედა, და** და **ძმები.** დაკრძალვა დანიშნულია გიორგობისთვის 18-ს, ნაშუადღევის 3 საათზე. 1601

შაბათს, 17 ნოემბერს, ქ. ოზურგეთში ღვთის მშობლის ეკლესიაში

ერდიშხან ივანეს ძე ქარცივაძის

გარდაცვალებიდან წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე **ელპიტი ფორდანიას ასული ქარცივაძისა,** და შვილები: **დათიკო, კოტე, ვანო, გიორგი, ჰელო** და **თამარა ქარცივაძეები.** 1602

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 18 ნოემბერს, 1912 წ.

ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ **მეორედ** წარმოდგენილი იქნება:

ახალი ორგინალური პიესა ნ. შიუკაშვილის

I

მთის ზღაპარი

დრამა 3 მოქმედებად.

განსაკუთრებით ამ პიესისათვის დასატულია ახალი დეკორაციები მხატვარ გ. ნალებაშვილის მიერ.

II

დარისპანის გასაჭირი

მხიარული ვოდევილი 1 მოქმ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: გოგოლაშვილი, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ყივიძე, სარაული, ციცაშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილ. ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: შაბათს, 24 ნოემბერს, **ბენეფისი ქ-ნ ნ. ჯავახიშვილისა.**

1578 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი,** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

ამბლაბრის ძართ. სახალხო თეატრი (მურაშკოსეული, თელავის ქუჩა). კვირას, 18 ნოემბერს, წრესთან არსებულ სცენის მოყვარეთა მიერ **რეჟისორის და მსახიობის ი. ივანიძის საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქნება:

საშუოგლ

ისტორიული დრამა 5 მოქმ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ადგილების ფასი მომატებულია.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

რეჟისორი **ი. ივანიძე.** მორიგი წევრი **ნ. ივანაშვილი.**

კვირას, 25 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება **„ყაჩაღები"** 1484

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს იმათ, ვისაცა ჰსურს იკისროს საკანცელარიო ნივთების მიწოდება ქალაქის დაწესებულებებთათვის 1913 წლის განმავლობაში. პროექტი ხელშეკრულებისა, კონდიციისა და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობის მატერიალურ განყოფილებაში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე.

განცხადებანი ფასებით მსურველებმა უნდა ჩაუშვან დაბეჭდილ კონვერტებით საგანგებო ყუთში, რომელიც გამგეობის პირველ განყოფილებაში იმყოფება. განცხადებანი უნდა შეტანილ იქმნას **17** ნოემბრამდე. 1596

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებთან; ძვირფასი ყდით; „შეიცავს" დაახლოებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩვენთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა, დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელს.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორდანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის სახ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ფოთში—ილია მეუნარგიასთან. სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. სილნალში—ექ. ჯანდიერთან. სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.

ბაკურიანში—ეფ. ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან თელავში—თამარ აბაშიძესთან. ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან. ბაქოში—ილია აგლაძესთან. ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან. ერევანში—ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკაზში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომბურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახ ელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები.

ფიზიოლოგიური ლექცია პრეშიძისა	20 კ.	ამბავი ცხოველთა სამეფოსი	50 „
ტვინი და სული. გომართელისა	5 „	კოპერნიკიდან დარვინამდე	10 „
ბუნება და ადამიანი დრეპერისა	5 „	მიკროსკოპიული ორგანიზმნი	20 „
ცა და დედა-მიწა ივანოვისა	20 „	ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა	60 „
მწვანე სამეფო ლუნკევიჩისა	20 „	საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა	2 მან.
ჭიანჭველების ცხოვრება მისივე	15 „	იგივე ნაწ. II „ქართლი" ვახუშტისა	25 კ.
ფიზიკა. ჰაერი და მისი თვისებანი, ალ. მირიანაშვილისა	15 „	კალმასობა იოანე ბატონიშვილისა	1 მან.
ბუნების ცოდნა. პოლბერისა	25 „	მოგზაურობა წმ. ქალ. იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ	
მეხის ამბავი ეივატოვსკისა	15 „	კონჯუაშვილისა	1 მან.
ჰაერი და სითბო მისივე	15 „		
როგორ საზრდოობს მცენარე	25 „		
ქიმია. როსკოსი	30 „		

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

ტფილისის ქერქო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძველებურად ძუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ფეტელის სასტუმრის ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროფი ი. ვ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ყოველ-დღე 11½—12½).
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშოიანი სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—[illegible].
ბავშვთა სნეულებ.	ექ. **ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროფი ე. ვ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ეტრ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ფონდოროვი, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყლენ. ყელ. ცხვ.	**ათინიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½
	ორეშმაკოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კანის ვენერ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამეკოლექციო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოსსუტიუმი, ზარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" „914" და **წამლის შეშბამუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა ([illegible]. ძიძათა შემოწმება და სხვა მოლავათიანი საფასურით. წ. 1040.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა",** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაგიანცი

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი.** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხ.). **ტელეფ. 7—92.** 777

ექიმი **ტბილისის და ღრმილებისა ჯ. ა. ძაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1040

ექიმი **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი **ტბილისა ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ალაოლოდ დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელმისაწვდენელ თასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლოლას ქუჩაზე, სახლი № 9, სოლომონ ივანეს ძე **თავქოიაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე. საღამოს 5 საათ. [illegible] 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავგის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

ვაგზლის ქერქო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე ყოველ დღე. შინაგან ავადმყ. 9½, ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე. კვირ. გარდა. სიფი[illegible] კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. ბოპოვი. ყოვ. დღე. კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი ჭირურგიულ[illegible] ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგეობით.

ლაბოლოგა „606" 1018

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა ყორდანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი **ი. ე. ჯაში** **განაგრძობს** ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ქლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებათ. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. [illegible] ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 1107. 791

სამტრედიაში

ექიმი **ე. ქ. აბულაძე** ჩამოვიდა და იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე.

აგრეედვე **სწამლობს 606-ით.** 1576

ექიმი **ი. ი. გელრიშვილი** სწამლობს **ნაშარდ** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვენერიანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. ძოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1580

ექიმი **ი. კ. აბაკელია** იღებს **შინაგან** და **ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი **ქ ა ლ ი** **დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებრო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. ბოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისი.

ექიმი **ა. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა. № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ახალი ამბავი

ტფილისი

წვრილი კრედიტის საქმე. წვრილი კრედიტის ინსპექტორი დ. ყ. ჩხეიძე, რომელიც ორის დღის წინად სოფ. ტარას ამხანაგობის საზოგადო კრებიდან დაბრუნდა, გუშინ დილით გორის მაზრაში გაემგზავრა, სადაც უნდა გახსნას ხუთი ახალი წვრილი კრედიტის ამხანაგობა: ტყვიავში, ძევერაში, ფხვენისში, ახალქალაქში და მეტეხში. მიეცათ სესხი: ტყვიავისას გრძელ ვადიანი—2000 მ., მოკლე ვადიანი 5000 მ., ძევერისას: გრძ. ვად. 1500, მოკ. 5000, ფხვენისასს: გრძ.—1500., მოკ.—4000, ახალქალაქისას: გრძ.—2000, მოკ.—6000 და მეტეხისას: გრძ.—2000, მოკ.—7000.

✦ წვრილი კრედიტის ინსპექტორი ვ. ლ. ვიფორსი საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა სოფ. ფასანაურსა და კობსა, სადაც წვრილი კრედიტის ამხანაგობებს გახსნის.

✦ საბალნეოლოგო კომისიამ, ქალაქის საექიმო-ლაბორატორიის გამგეს ბ-ნ ალიბეგოვს დაავალა შეამოწმოს ტფილისის მინერალური წყაროების წყლები.

✦ გუშინ ტფილისში დაბრუნდნენ ვაქართა მამასახლისი **ა. მილოვი** და სავაჭრო კამერის მდივანი ა. გალსტიანი, რომელნიც პეტერბურგს იყვნენ სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევნებზე.

✦ ტფ. პოლიციმეისტერმა ქალაქის გამგეობას სთხოვა რადგანაც ტფ. გუბერნატორმა მიანდო მას მტკვარში დარჩობის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების შემმუშავებელი კომისიის მოწყობა, აცხობოს მასვის დანიშნავს ქალაქის გამგეობა კომისიაში მონაწილეობის მისაღებად.

✦ ქალაქის გადიდების გამო, **საბჭოს საფინანსო კომისიამ** საჭიროდ სცნო დაეწესოს შემფასებლების ორი ახალი თანამდებობა, რათა ახალ ქონებათა შეფასების საქმე დაიჩქაროს.

✦ რადგანაც უსახელო საზოგადოებას ტფ. ტრამვაის დირექციამ ფუნიკულერის ქვედა სადგურამდე ტრამვაის [illegible]ის გაყვანაზე უარი სთქვა, შესდგა ახალი საზოგადოება ამ საქმის გასაკეთებლად.

✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ **„ახალი კლუბის"** ორმოცდაკაცა წინადადება შეიტანა საბჭომი, რომ **„ახალმა კლუბმა"** ქართული კონცერტების გასამართად მოიწვიოს ბ-ნი ფოცხვერაშვილი, საბჭოს არ მიუღია ეს წინადადება.

✦ **რედაქციამ** მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული"-ს მე-21 ნომერი, მცირე წლოვანთათვის. მოთავსებულია: სურათი — ქურდები. „ბაქია" (ლექსი) **შ. მღვიმელისა.** „საწყალი ბიჭიკო—**ირ. ევდოშვილისა,** აქლემი (იგავი) **ალ. მირიანაშვილისა.** იხვი, მელია და მამალი—**ალ. შანშიაშვილისა,** ნისლი—ზღაპ. ევალდ. ნათ. **ს. მარ. იაშვილისა,** ბავშვი და ძაღლი—ტოლსტ. თარ. **ი. ზედობნელისა.** გასართობი.

✦ რედაქციამ მიიღო ვ. ხვიჩიას მიერ ქუთაისში წიგნაკად გამოცემული **„ძველი და ახალი"** წერილები **ნ...** გადმობეჭდილი „ჩვენი ცხოვრებიდან". წიგნაკი ღირს ორ ნაურად.

✦ ქ. გუმბრის ქალაქის გამგეობამ ტფ. ქალაქის გამგეობას სთხოვა გაეგზავნოს ქალაქის საბჭოს დადგენილება ქალაქის სავაჭრო და საკომერციო სკოლების შესანახად ვაჭრობის გადასახადის შემოღება.

✦ 12 ნოემბერს ქალაქის სასანიტარო ექიმმა ნათიშვილმა ბოქაულის დავიდოვის თანხლებით დაათვალიერა ეტლების სადგომი ეზოები. ფელდშერის ა. ჩერთშევის ეზო ძლიერ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამის გამო მას წინადადება მიეცა ეხლავე გასწმინდოს ეზო.

✦ ალექსეევის ქუჩაზე მცხოვრებ მ. ვ. მაჩაბლისას, 14 ნოემბერს, იმის შინარყოფნის დროს, გაუტეხეს სახლი და მოპპარეს ფული და ვერცხლის ნივთები 538 მან. ღირებული. ეძვი შეიტანეს და შეიპყრეს ტფ. მოქალაქე არუთინ მუგდუსოვი.

✦ 13 ნოემბერს, პოლიციამ ქალაქში და მის მიდამოებში 54 უპასპორ-

ტო შეიპყრო; 14 ნოემბერს კი 24 უპასპორტო.

საზოგადოებანი და კრებები

✦ შაბათს 17 ნოემბერს საღამოს 8 საათზე მოხდება **ქართულ სამეურნეო საბჭოს კრება**, რომელზედაც აგრონომებთან ერთად, შემუშავებული იქნება მომავალ წლის სამოქმედო გეგმა.

✦ დღეს 16 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, საექიმო საზოგადოების სადგომში მოხდება კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრების საზოგადო კრება, განსახილველია საკითხები: 1) საზოგადოების მონაწილეობა ბუნების-მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების დასწრების შესახებ, 2) მოხსენება გაზის საერთაშორისო კონფერენციის შესახებ და სხვა.

✦ ამ დღეებში მოხდა კრება ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლის გამგე საქალაქო კომისიისა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი. კრებამ განიხილა: 1) „კურიერ კაპეიკის“ და რუსულ სექციის ინციდენტი. სექციის წარმომადგენელმა ბ. ბუკშეინმა, ახსნა ეს იმით, რომ „კურიერ კაპეიკაში“ ცუდად მოიხსენიეს ურიების სექცია. კომისიამ დაადგინა: აცნობოს გაზეთს, რომ უფასო ადგილი შეინახება, რომ ცუდი მოხსენება ურიათა სექციისა და, ამ ინციდენტისა და რუსულ სექციას არ ეხება. 3) შემდეგ კომისიამ განიხილა და მიიღო საკითხი სახალხო წარმოდგენების დღის ადგილების ფასის მომატების შესახებ წინა ექვს რიგში. 3) ამის შემდეგ ა. მ. არღუთინსკის მოხსენების მიხედვით კომისიამ დაადგინა არაფრის გზით არ შესცვალოს სექციების წარმოდგენების დღეები, რადგან ხალხი უკვე მიეჩვია ამ დღეებს.

სასამართლო

✦ დღეს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე **ს. გ. მატროფანოვისა** და **თ-დ კ. ი. ხერხეულიძისა**, რომელთაც ბრალდებათ ყალბ ნოტარიული რწმუნების ქაღალდის და თამასუქების შედგენა, და სხვისი ქონების მითვისება. გამოწვეულია 20 მოწმე და ექვსი ექიმი—ექსპერტი. ბრალდებულთა იცავენ: მიტროფანოვისას—ნაფ. ვეჭილი ვ. ყორღანოვი და თავ. ხერხეულიძეს—ნაფ. ვეკ. თანაშემწე შ. ალექსი-მესხიშვილი.

სასწავლებლებში

✦ დღეს, 16 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება სასწავლებლების კომისიის კრება, რომელიც განიხილავს: სამოქალაქო სასწავლებლების დირექტორის მოხსენებას ქალაქის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის გახსნის შესახებ.

რკინის გზებზე.

✦ ტფილისში დაბრუნდა ამიერკავკასიის რკინის გზის სამმართველოს საკომერციო ნაწილის უფროსი ვ. ამხულოვი, რომელიც საკომერციო პეტერბურგის კრებაზე დასასწრებლად იყო წასული.

✦ **სად. ჭიათურა.** 13 ნოემბერს, საღამოს 12 საათზე, როგორც საბარგო მატარებელი № 766 დაიძრა, მუშა ვიქტორ ტყეალაშვილი შეეცადა ვაგონზე შეხტომას, მაგრამ მოსხლტა და მატარებლის ქვეშ მოჰყვა. მატარებელმა მას ფეხები მოსწყვიტა.

ქუთაისი

✦ ქუთაისში აპირებენ **დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის, პატივსაცემად** სალიტერატურო საღამოს გამართვას.

✦ **ბ-ნი ალ. ჯანელიძეს** განუზრახავს დაბა-სოფლებშიაც წაიკითხოს ლექციები, რომელსაც ქუთაისში კითხულობდა: „ეროვნული შეოქმედება და ეროვნული ბრძოლა“. ეს ლექციები ქუთაისში დიდად მოსწონდათ.

✦ ბ-ნ საარკს განუზრახავს **ტელეფონით შეუერთოს** ქუთაისს დაბები: ხონი, ჭიათურა, ჯიხაიში და სხვა.

✦ **შავი ქვის მრეწველთა საბჭომ** დაავალა ტეხნიკურ განყოფილებას, რათა გამგე ინჟენერმა შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა ჭიათურაში **ახალ აბანოს ასაგებად**, რომელიც სამი ათას მანეთზე მეტი არ უნდა დაჯდეს.

ლენის როსტოვი.

✦ ამ თვის ოცდაათს აქ იმართება **„ქართული საღამო“** არტისტების, სცენის მოყვარეების და ხოროს მონაწილეობით. ხორო იმღერებს ქართულს სიმღერებს. რუსულად წაკითხულ იქნება „განდეგილი“. გრიშსა და ტანისამოსში და სხვა ლექსები. მოწვეულია მოსკოვიდან თამ. ძნელაძე. ხოროს ხელმძღვანელობს ადგილობრივად კარგად ცნობილი ლოტბარი დავიდოვსკი. დასასრულ გაიმართება „კაბარე ტფილისში“ და ქართულ ევროპიული ცეკვა. ეს პირველი ქართული საღამოა აქ და როსტოველი საზოგადოება ინტერესით მოელის.

მასწავლეგლის ხსოვნას.

დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: გარდაცვლილა არისტო ქუთათელაძე, ტფილისის ქართულ გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი. ფართო საზოგადოება შეიძლება არც კი იცნობდეს განსვენებულ მასწავლებელს. მაგრამ, სამაგიეროდ კარგად იცნობენ მრავალ-რიცხოვანი მოსწავლენი, მისი ნამოწაფარნი, რომელთაც, უეჭველია, ჩემსავით გულში დასწყდებათ, როდესაც საყვარელ მასწავლებლის გარდაცვალების ამბავს გაიგებენ, და მოიგონებენ იმ ბედნიერ წუთებს, როდესაც კეთილშობილი მამულიშვილი და პედაგოგი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, გატაცებითა და სიყვარულით ასრულებდა თავის საპატიო მოვალეობას.

მე მისი ერთი მოწაფეთაგანი ვარ. მოგეხსენებათ, ისე არაფერი სტოვებს კვალს ადამიანის სულში, როგორც ბავშვურ ხანაში განცდილი გრძნობები და შთაბეჭდილებანი. განსვენებული მასწავლებელი ერთი იმ ძვირფას ადამიანთაგანი იყო, რომელსაც ესმოდა ბავშვის სულის მოძრაობა, ნაზად და სიყვარულით ჰზრდიდა, ასპეტაკებდა მას და უნერგავდა ყოვლად პატიოსან გრძნობებს.

ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებელი იყო. მისი გაკვეთილები მშრალი ფორმალური გადმოცემა არ იყო ცოდნისა. თვითოეული მისი სიტყვა გამთბარი იყო მამულიშვილური გრძნობით. ბავშვები ჰგრძნობდნენ ამ სითბოს, და ამიტომ აკი კიდეც უყვარდა განსვენებული. ძალიან კარგად მახსოვს ის ბედნიერი წუთები. მახსოვს, რა აღტაცებით გავემგზავრებოდით ხოლმე კრწანისის ველზე, მთაწმინდაზე, მცხეთას ან სხვაგან. მაშინ ჯერ ექსკურსიები არ იყო განვითარებული. მაგრამ განსვენებული ჰგრძნობდა ამნაირ ექსკურსიების მნიშვნელობას და კვირა-უქმეებს ამ სასარგებლო სეირნობაში გვატარებდა.

არისტო ქუთათელაძე იყო თავდადებული და ჭეშმარიტი პედაგოგი. იგი სიყვარულით შესცქეროდა თავის ნამოწაფართ, რომელნიც უკვე ცხოვრებაში გამოდიოდნენ და საზოგადოებრივ ცხოვრების ქარტეხილში ებმოდნენ. მაშინაც მათს შორის ზნეობრივი კავშირი არა სწყდებოდა.

მახსოვს, ერთხელ, რედაქციაში, სადაც მე ვთანამშრომლობდი, განსვენებული შემოვიდა ჩამოჯდა სკამზე და დიდხანს იჯდა ასე გაჩუმებული. ცოტა-ხნის შემდეგ, ცალკე გამიხმო, ხელი ჩამომართვა და აკანკალებულის ხმით მითხრა: „მადლობელი ვარ, გუშინდელი შენი წერილი წავიკითხეო“.

სხვა აღარაფერი მითხრა და გაბრუნდა... თვალებში ცრემლები შევამჩნიე.

ასე ღრმადა ჰგრძნობდა განსვენებული.

იგი დარწმუნებული იყო, რომ არც იმის შრომას ჩაუვლია უნაყოფოდ, რომ მამულიშვილური გრძნობა, რომელიც ყოველთვის ჰფეთქავდა მის გულში, მის ნამოწაფართაც შერჩენიათ.

დარწმუნებული იყო და არც მოსტყუვდა: საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში არიან გაფანტულნი მისი ნამოწაფარნი, მაგრამ, თუ ყველას არა, უმრავლესობას მაინც, დარწმუნებული ვარ, ღრმადა აქვს ჩანერგილი ბავშვობაში პატიოსან მამულიშვილის მიერ ნაკარნახევი ანდერძი და სდცილობს, შეძლებისამებრ, შეასრულოს იგი.

ისინიც დაღონდებიან ჩემსავით და მოიგონებენ მუდამ ცოცხალს, მუდამ მხიარულსა და მუდამ ტკბილ მოსაუბრე საყვარელ მასწავლებელს.

საუკუნოდ იქნება შენი ხსენება, ძვირფასო მასწავლებელო, შენს აღზრდილთა შორის.

არ. ჯ—შვილი.

ილიას საღამო მოსკოვში

ქართულ კულტურის მოყვარე სტუდენტთა წრემ, რომელიც **ილია ჭავჭავაძის** სახელობაზეა დაარსებული, 2 ოქტომბერს გაჰმართა საღამო მგოსნის 75 წლის შესრულების აღსანიშნავად. საღამოს დიდი ელფერი არა ჰქონდა, მით უფრო იგი არ იყო გამართული გარეშე, უცხო, ხალხისათვის, არამედ საღამო გაიმართა მხოლოდ მოსკოველ ქართველთა კოლონიისა და სტუდენტობისათვის. ამ რიგად, საღამოს შინაურული ხასიათი ჰქონდა, და თუ მკითხავთ, ეს უფრო სჯობდა, ვიდრე სხვა, დიდი რამის გამართვა. აქ ბევრმა ქართველმა მოიყარა თავი, იქნებოდა სამასამდის კაცი და ქალი. ამათში მრავალი ახლები იყვნენ, მოსწავლენი თუ ისე ხალხი, ისეთნი, რომელთა მოსკოვში არსებობა ბევრმა არ იცოდა. ეტყობა მოსკოვში ქართველობა ბლომადაა. მაგრამ, ერთმანეთს ვერა ჰხედავენ. ერთმანეთში მისვლა-მოსვლა ისევ მოსწავლეთ თუ აქვთ, თორემ სხვანი ერთმანეთს აგრე რიგად არ ეტანებიან. ამიტომ ამისთანა საღამოების გამართვა ძალიან სასარგებლოა.

საღამო რეფერატებით დაიწყო. წაიკითხეს სამი რეფერატი: სტ. გრ. ვეშაპაძემ: „ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტი“, სტ. ირაკლი ამირაჯიბმა: „ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა“, მესამე სტ. გრ. ლაღიძემ: „ილია ჭავჭავაძის პოეზიის მოტივები“. ამ სამ რეფერატში საზოგადოებას ირაკლი ამირაჯიბის რეფერატი მოეწონა. რეფერატებს მოჰყვა სამუსიკო და სალიტერატურო განყოფილება. აქ მონაწილეობდნენ: თამარ ძნელაძე (სკრიპკა), ქარცივაძე (სიმღერა სოლო), ირ. ამირაჯიბი და შალვა გურამიშვილი (თარი), ესტ. ინასარიძე ერთი გამგეთაგანი საღამოსი (დეკლამაცია) და ირ. ჩოლოყაშვილი (სიმღერა და დეკლამაცია.) მონაწილეთა შესახებ ბევრს არაა ვიტყვით. თამარ ძნელაძეს ჩვენი საზოგადოება, არამც თუ დედა-ქალაქებისა, არამედ პროვინციისაც კი, კარგად იცნობს, კარგად იცის თუ რა ნიჭის პატრონია იგი და ჩვენ მხოლოდ ერთი რამ დაგვრჩენია აღსანიშნავი: რაც იგი აქა სწავლობს, დიდი წინ-სვლა დასტყობია, უფრო თამამი დამკვრელი და ნამდვილი არტისტი გამხდარა. ქარცივაძეს ჩვენი საზოგადოება არ იცნობს, მაგრამ ბევრ რამეს არც იმისას მოგახსენებთ, ერთის გარდა: ყველა თავისი სიმღერები რუსულადა სთქვა და, რამდენადაც ჩვენ გავიგეთ, თავი ასე გაუმართლებია: ქართული არა ვიცი რა და ამ საღამოისათვის არც მოვამზადებულვარო. ეს ცოტა ახირებულია! თუ კი რუსული, უბრალო რომანსები, იმდენად იცის, რომ მოუმზადებლად შეუძლიან, ესტრადაზე გამოსვლა, რატომ ქართული სიმღერები კი ასევე არ უნდა იცოდეს? მაგრამ, შემჩნეული გვაქვს: ეს, ჩვენი მგოსნების საერთო უბედურებაა. ყველა მათგანმა რუსული რომანები რამდენიც გნებავთ, იმდენი იციან, ქართული კი არც ერთი.

ესტ. ინასარიძემ და ირ. ჩოლოყაშვილმა კარგად წაიკითხეს ლექსები, პირველმა ვაჟა-ფშაველასი — ილია ჭავჭავაძის სიკვდილის შეხახებ და მეორემ—„ქათვლის დედა“. ჩოლოყაშვილის ნამღერი „ურმული“ და „აღმართ-აღმართ“ საზოგადოებას ძალიან მოეწონა. ეს ახალ-გაზრდა მომღერალია, სწავლას ეხლა იწყობს და თუ იმეცადინა, მომავალში, კარგი მომღერალი დადგება. ირაკლი ამირაჯიბის და შალვა გურამიშვილის თარმა საზოგადოება ძალიან ასიამოვნა.

საღამოს გამმართველებს დამსწრეთ მადლობა გადუხადეს და ნასიამოვნები დაიშალნენ. **ი. ტ.**

წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის დაარსება

სოფ. საქაშეთში (გორის მაზ.)

როგორც მოგეხსენებათ, ამხანად სოფელში სწარმოებს კულტურული მუშაობა. თავადიშვილობა და აზნაურობა ეკიდება სოფლის მუშაობას; ანგებენ თავს ძველ მამა-პაპურ მეურნეობის წესებს და ჰკიდებენ ხელს ახალს. თვითეულს მათგანს აქვს თავისი გამოცდილება ამა თუ იმ დარგში, აქვს თავისთვის გამოურკვეველი საკითხები, რომელიც შესაძლებელია უკვე ახსნილი ჰქონდეს მეორეს; ერთს მოსდის მარცხი, მეორე იმარჯვებს, აი ყველა ეს, საქმის წარსამატებლად საჭიროებს მეურნეთა შეკავშირებას ურთიერთთათვის თავის ნაფიქრის, ნამუშევრის გასაზიარებლად, ერთი-ერთმანეთთათვის წარსამატებლად.

ამის აზრი კი ხანია დაჰბადებიათ ძმ. ივ. დ. და კ. დიასამიძეებს; კაი ხანია ახლო-მახლო მოწინავე მეურნეთ ჰქონიათ ამის შესახებ ბაასი და ბოლოს 11 ნოემბერს ამ კეთილმა სურვილმა შეისხა კიდეც ხორცი, ჩამოყალიბდა წვრილ სასოფლო სამეურნეო ამხანაგობის დაარსებით.

11 ნოემბრის კერძო თათბირს ს. საქაშეთში (გორის მაზრა) დაესწრნენ სოფ. საქაშეთიდან თავ. კ. და დ. დიასამიძენი და სიკო ტიტვინიძე, რუისიდან—ლადო გულისაშვილი, ფხვენისიდან დ. ციციშვილი, წვერიდან კონს. კალატოზიშვილი, ბრეთიდან მღვდ. მ. ედილაშვილი, ზემოხვითიდან თავ. მ. დიასამიძე და ილია მაჭავარიანი. ზემო ქართლიდან იყვნენ საადგილ-მამულო კომისიის ინსტრუქტორი გ. მაჭარაშვილი და ქართლის აგრონომი ქართულ ს. ს. საზოგადოებისა ე. კარბელაშვილი.

თათბირის დროს გამოირკვა, რომ შეკრებილთ უფრო ჰსურდათ ერთიერთმანეთისათვის გაეზიარებინათ თავიანთი ნამუშევრის შედეგი, თვისი ძარცხი და გამარჯვება, თავის თავის გამოურკვეველი საკითხები და ამით ურთიერთთათვის შეემსუბუქებინათ სოფლად მუშაობა.

ქართლის აგრონომმა ე. კარბელაშვილმა მოახსენა კრებას სანიმუშო წესდება წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა დამტკიცებული მთავრობის ძიერ 18 გიორგობისთვეს 1908 წელს. ამ წესდებით წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის მიზანია დაეხმაროს თავის წევრთ: 1) სოფლის მეურნეობისათვის საჭირო საგნების შეძენაში, სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გასაღებაში და მათ ტეხნიკურ დამუშავებაში საამხანაგოდ გამართულ დაწესებულებაში და 2) ამხანაგობის წევრთა მეურნეობის გაუმჯობესებაში ურთიერთი მოსაზრებით და ამისათვის საჭიროა ლონის ძიება, ხელოვნება. ამ ორი მიზნის გასასორციელებლად ამხანაგობას ეძლევა ფართო უფლება; მას შეუძლიან წესდების თანაბრად დაარსება და წარმოება: 1) დუქნებისა, 2) სოფლის ნაწარმოების დასამუშავებელ დაწესებულებათა, 3) გამოფენებისა, 4) მოწყობა სასოფლო-სამეურნეო საუბარ-კითხვებისა, 5) წიგნებისა და წიგნაკების ბეჭდვა და სხვა.

ამხანაგობის დასაარსებლად საჭიროა 12 კაცის სურვილი; ამხანაგობას შეუძლიან შევიდეს წევრად სხვა ამხანაგობაში და თვითონ მიიღოს წევრად სხვა ამხანაგობა; მოქმედებს ამხანაგობა წევრების მიერ ყოველწლივ შემოტანილ ფულით; ამხანაგობა თავის ვალდებულების პასუხის მგებელია თავის ქონებით; თუ ეს არ ეყო, მაშინ ამხანაგობის თვითეული წევრი პასუხს აგებს არა უმეტეს სამის წლის საწევრო გადასახადით, ე. ი. თუ წლიური გადასახადი ერთი მანეთია, წევრი პასუხისმგებელია სამი მანეთით. ამის შემწეობით ამხანაგობას შეუძლიან მეტი ნდობა მოიპოვოს ყველა სავაჭრო დაწესებულებებში.

ამხანაგობას უფლება აქვს მოწვევა კრებისა: 1) **ჩვეულებრივისა**, სადაც ისაბაასებენ თავიანთ მეურნეობის წარმატება-გაუმჯობესებაზედ და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, 2) **საგანგებოსი**, თუ ამას მოითხოვს ამხანაგობის წარმოება და 3) **წლიური**, რომელზედაც შეკრებილი წევრნი განიხილავენ ამხანაგობის მოქმედების წლიურ ანგარიშს და სწყვეტავენ იმ საკითხს, რომლის გადაწყვეტა არ შეუძლიან ამხანაგობის გამგეობას.

კრებამ განიხილა ეს წესდება და დაადგინა აღძრას სათანადო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე სოფ. საქაშეთში წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის დაარსებისა; ამხანაგობის მოქმედების რაიონი იქნება სოფ. რუისი (რუისის საზოგადოება) და შინდისის საზოგადოების შემდეგი სოფლები: შინდისი, საქაშეთი, სასირეთი, ფხვენისი ქვემო-ხვითი, ძლევის-ჯვარი და ყელქცეული. ყოველწლიურ საწევრო გადასახადად დაადგინეს 1 მანეთი, რომლის ერთი მეოთხედი გადაიდება ამხანაგობის თანხის შესადგენად.

ამხანაგობის საზოგადო კრების მოწვევა დაადგინეს მოხდეს ხოლმე გიორგობისთვეში, როდესაც სოფელში მუშაობა თითქმის მომწყდარია.

ამხანაგობის დაარსებაში გლეხები ფართოდ ჯერ-ჯერობით არ იღებენ მონაწილეობას, რადგან უსალსრობისა გამო ახლად დაარსებული ამხანაგობა ისე მხნედ ვერ ჩაერევა სოფლის ცხოვრებაში (როგორც მაგ. საზიარო დუქნის დაარსება, ან სოფლის ნაწარმოების გასაღება) რომ დაიმსახუროს ხალხის ყურადღება; თვით დამაარსებელნიც აპირებენ უმთავრესი თვის ყურადღების მიპყრობას ამხანაგობის მეორე მიზანზე—ურთი-ერთი მოსაზრებით ერთი-ერთმანეთის მეურნეობის გაუმჯობესებაზე.

კრიტიკული შენიშვნები

ბაბილინას ლექსები

როდესაც ჩვენი ახალგაზდა მწერლების შემოქმედებას ვეხებით, აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია მისი ნათლად განსაზღვრა. თუ როგელ მწერალს აქვს თვითეულ მათზე განსაკუთრებითი გავლენა; მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის შესრულება მეტად ძნელია, რადგან, როგორც არა ერთხელ აღმინიშნავს, ჩვენი ახალგაზდა მწერლები თვის შემოქმედებაში ერთგვარ რყევას განიცდიან და მათ შემოქმედებას დღემდის გარკვულად ჩამოსხმული ვითარება არ მიუღია. გადაშალეთ ამ უკანასკნელ დროის ჩვენი ახალგაზდა მწერლების ნაწარმოებნი, გულდასმით გადაიკითხეთ მათი ლექსები და რაღაც უიმედო გრძნობათა ქარავანი აიშლება თქვენს შინაგან არსებაში და სასომიხდილი კითხვები გარსშემოერტყმება თქვენს გონებას.

უმეტეს შემთხვევაში, ჩვენი ახალგაზდა მწერლების ნაწარმოებთა უმთავრესი თვისება ლირიზმია; და მათ მიერ გადმოცემული აღწერა ძაღზე სუბიექტიურია. აღწერს ბუნებას, ცხოვრების მოვლენას თუ სხვა, რამეს, თვითეული ჩვენი ახალგაზდა მწერალი მსწრაფლ თვის სულიერ განწყობილებას მიმართავს და მის გადმოცემას, ესწრაფვის, რომ დაგვანახოს, თუ რა გავლენა იქონია აღწერილ მოვლენის ხილვამ მწერლის სულზე. ვსთქვათ, მწერალი სჰვრეტს ბუნების რომელიმე მოვლენის წარმტაც სურათს; იგი სჩქარობს გადმოგვცეს ამ ძვირფასი სურათის აღწერა, მაგრამ არა თავისთავად, არამედ იმ სახით, რამდენადაც იგი ჩაექსოვა მწერლის სულს და ამ აღწერაში ერთად გადახლართულია წარმტაც სურათის დახატული ფერადები და მწერლის სულიერი განცდა. მართალია, ყველა მწერალს ცხოვრების ყოველ მოვლენის აღწერაში თვისი განსაკუთრებული, ინდივიდუალური რამ შეაქვს, მაგრამ ჩვენ ამას არ ვგულისხმობთ ამ შემთხვევაში.

ჩვენი ახალგაზდა ნიჭიერ პოეტქალის ბაბილინას ლექსების უმთავრესი თვისებაც სწორედ რომ ლირიზმია. ბაბილინას აქვს ლექსი „დილა“, სადაც მართლაც ნიჭიერადაა აღწერილი დილა, როდესაც.

მზე მნათობმა სხივნი უხვად
კვლავ მთის მწვერვალთ შემოტყორცნა,
კვლავ სიცოცხლე ამოძრავდა,
არე-მარე გადაჰკოცნა!.
გაელვიძა ყოველ სულდგმულს,
ფრინველთ მორთეს ლაღი სტვენა,
ტყემ შრიალით ბანი მისცა,
კვლავ გამეფდი აღმაფრენა!

მაგრამ ბაბილინამ დაგვისურათა დილა წარმტაცად არა იმისათვის, რომ დამტკბარიყავით მისი ჰვრეტით, არა, ეს ძვირფასი სურათი აი რას აგონებს მას:

ვიშ სამყარო ნეტარებით,
ვის დაატკბოს, ვის ახარებს,
თუ დღეს კაცი-შრომის მონა ტანჯვის ბორკილს კვლავ ატარებს*)

დიაღ, ძვირფასია ეს ბუნების სურათი, მაგრამ მე მაინც თანა მსდევს ფიქრი იმის შესახებ, მოეღება თუ არა ბოლო ადამიანის ამ ქვეყნად ტანჯვა-ვაებასო, გვეუბნება ამ ლექსში პოეტი. საზოგადოდ ის ხანა, რომელშიაც ჩვენ ვსცხოვრობთ, განვლილ ქარტეხილის შემდეგ რაღაც უიმედობის სამოსელში გახვეულა თვით და სასოწარკვეთილ გრძნობათა ბურუსში გამოუწყვია არემარეც. მაგრამ იმედი, სიცოცხლის ცხოველმყოფელი იმედი, არასოდეს არ მოკვდება ადამიანთა გულში და ცხოვრების ეკლიანს გზას მხოლოდ იგი გაუნათებს ადამიანს. გარნა პოეტსაც სწამს მომავალი, სწამს სიყვარულის ძლევამოსილება, მაგრამ ბრძოლისაგან მოჭანცულს ხშირად მწარედ აღმოხდება გულიდან ამ ქვეყნიური ცხოვრების ამაოება. საყოველთაოდ ბაბილინას ლექსების კითხვის დროს მკითხველის წინაშე გადაიშლება პოეტის სულიერი განცდანი, ხან სასომიხდილი ამოკვნესანი და ხან კი სხივოსან იმედების გამოძახილი. მართალია პოეტს ხანგრძლივად ვერ შეუჩერებია თვისი გონების თვალი რაიმე მოვლენაზე და მისი შესაფერისად გადმოცემისათვის ვერ მიუპყრია სავსებით თვისი შემოქმედება, მაგრამ ეს საერთო დამახასიათებელი თვისებაა ჩვენი ახალგაზდა მწერლებისა. მართლაც გიჭირსთ, გამოარკვიოთ, მწერლის უმთავრესი სულიერი განწყობილება, ვინაიდან თუ იგი ერთ ლექსში სრულის აღტაცებით გადაგიშლის თვის სულის განწყობილებას, იქვე მეორე ლექსში სასომიხდილი კვნესა შემოგესმით, პოეტის სულიდგან ამომავალი. ეს კი ჩემის აზრით ძალზე ხელს უშლის ჩვენს ახალგაზდა მწერლებს რაიმე მთლიანი, დასრულებულ ნაწარმოების შექმნაში. მარტო თვის ტკივილებზე წუწუნი არ კმარა, საჭიროა შემოქმედების მეტი გართულება, მეტი გარკვეულობა.

ჩემის აზრით ბაბილინას პოეზიის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ლექსი: „მიწა“, რომელშიაც პოეტი მიწას სთხოვს:

მიწავ სამშობლოვ! ცხოვრების
შვილსა
ჩამოაცალე ოცნების ბადე!—
არ მინდა მისი მსუბუქი ფრთები
არა, ამისთვის არ დავიბადე!
მიწავ, ჩამიკარ მშფოთვარე მკერდში;
მომმწყვიტე ზეცას, მომწყვიტე
მთვარეს!
შრომის უღელქვეშ... სადა მცალიან
ვარსკვლავს შევტრფოდე სხივ
მომფინარეს?!

ბუნებასაც კი ემუდარება პოეტი:

მაშვრალთა გმინვას შეუწყოთ ჰანგი,
შევფიცოთ მიწას—მარად ხალხისთვის
გვიძგერდეს გული, ვაყღეროთ ჩანგი*).

დასასრულ ამ ლექსში პოეტი ამბობს:

აქ სინამდვილეს არ დავშორდები!—
ბევრია მსხვერპლი, ბრძოლა გამწარდა...
მაგრამ მე მაინც არა ვლონდები!..
არ მინდა, არა, დავშორთე მიწას,
ბრძოლის სამეფოს შრომის კერასა.

დიაღ, პოეტი ბუნებას და მშობელ მიწასაც ემუდარება: მე არა მსურს აქ სინამდვილეს ავშორდე, არა მსურს ოცნება იმ ქვეყნიური, აქ მაშვრალთ შორის ტანჯვისა და ბრძოლის გაზიარება სულით მწყურიაო. საქებურია ეს წმინდა და უანგარო ვედრება ჩვენი პოეტისა; წაბაძვის ღირსია იგი, როგორც გულიდან ამოხეთქილი წრფელი გრძნობებით გაღვივებული სურვილი. აქ ამ ლექსში პოეტი მოქალაქეა, უკეთეს მომავლის მოტრფიალე; მაგრამ ცხოვრება ცვალებადია, ხშირად უტკბილეს წუთების შხამ ნაღველად შემცვლელი და ტანჯვა-ვაების კი სანეტარო წუთებად გარდამქნელი. თუ პოეტი „მიწა“-ში ხმა-მაღლა, გულის სიღრმიდან ამომავალ სიტყვებით, ამბობს: ბრძოლა მწყურია, ბრძოლა ამ ქვეყნიური ტანჯვის მოსასპობადო, ლექს „სათნოებაში“, როდესაც პოეტის გულს განუყრელი ტანჯვა-სევდა შემოჭდომია, იგი წარმოსთქვამს:

„მაშინ მოვწყდი მიწის გულმკერდს
სინამდვილეს გავეყარე;
ტალღას გავყევ ოცნებისას
ფიქრთა ზღვაზე დავეყარეო“.

ეს მხოლოდ ხან-მოკლეა, სულ წუთების განმავლობაში გრძელდება ასეთი განწყობილია პოეტის სულისა და ლექსს „ბრძოლაში“ იგი კვლავ ბრძოლას ეთაყვანება.

დეე, ყოველივე ამხედრდეს პოეტის წინააღმდეგ; დეე, თვით ჯოჯოხეთიც კი ემუქრებოდეს მას და სატანა წყეული თავს დაჰხარხარებდეს, ის მაინც არ შესწყვეტს ბრძოლას და სასურველ მიზნის განხორციელებას შესწირავს სიცოცხლეს, ხოლო თუ დამარცხდა და მიზანი იგი ვერ შეასრულა:

მაშინ, ოხ, მაშინ დავსწყევლი
მიწას,
ზეცას ძირს დავსცემ, თვით გავმეხ-
დები;
გადვიხარხარებ უკანასკნელად
და ნეტარებით სიკვდილს შევეხვედ-
ბიო,

ამბობს იგი.

პოეტისათვის „ჩავრულთ კვნესა მისი წყლულია“. მას სურს იცოცხლოს იმ დრომდე,

რომ მოესწროს—მის არწივი
განთავისუფლდეს—ფრთა გაკრას
კლდესა;

დე, მხოლოდ მაშინ,—ნეტარების
წუთს
გაცივდეს გული, შესწყვიტოს კვნესა!

საზოგადოდ, ბაბილინას ლექსებში ამ ქვეყნიური ცხოვრების განსაკარგებლად ბრძოლას დიდი ადგილი აქვს დათმობილი და ყველგან პოეტი თვის ჩანგს აყღერებს ცხოვრებისა-

*) ხაზი ჩემია. ავტ.

*) ხაზი ყველგან ჩემია ავტ.

ობის გაუმჯობესებას და ამისათვის საჭირო ღონისძიების ხმარებას.

თან და თან, ამ მიზნის განხორციელების დროს მათ უეჭველია დასჭირდებათ ხელის მოკიდება ამხანაგობის პირველს მიზნისათვის—აღებმიცემობისათვის და როცა ამხანაგობა ფეხს მკვიდრად მოიკიდებს, გლეხობაც, ცხადია, ჩაებმის ამხანაგობაში. ახლა-კი იგი ინტელიგენციისადმი უნდობლობით გაჟღენთილი სკეპტიკურად ეკიდება ამგვარ საქმეს.

კრების დასასრულს საადგილმამულო კომისიის ინსტრუქტორმა გიორგი მაკარაშვილმა მოახსენა ამ კრებას, რომ ალში განიძრახეს დაარსება მომხმარებელ საზოგადოებისა; დამტკიცებული წესდება უკვე მიღებულია და საზოგადოება დაიწყებს მოქმედებას; მოახსენა რომ გლეხობა დიდის ყურადღებით ეკიდება საზოგადოებას.

ამით დამთავრდა შეკრებილთა თათბირი. ვუსურვებ ნორჩ ამხანაგების წარმატებას და ჩვენი გაღვიძებულ სულის საპიროების ალღოს სისწორით ადებას. **ეკალი.**

Р. S. წვრილი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის წესდება დაბეჭდილია რუსულად: „Къ помощь крестьянину кооператору“ ფ. 10 კაპ.; ცალკე ფურცლად დაბეჭდილი აქვს მიწათმოქმედების დეპარტამენტს, მისი მოკითხვა შეიძლება ტფილისში საიმპერატორო და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებში; ქართულად დაბეჭდილია ორჯელ ჟურნალ „მოსავალში“ და ერთი თარგმანი ე. კარბელაშვილის № 5 და 6 1909 წლის და მეორედ ამ წლის 17—18 ნომერში თარგმანი ალ. კახელაძისა. **ეკ.**

მივიწყებული საფლავი

(მცირე შენიშვნა თელავიდან).

ამ ცოტა ხანში თელავის სასაფლაოზე მომიხდა ყოფნა, მინდოდა მენახა თელავში ერთ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწის და ქართველ ჟურნალისტის **ნადიკვრელის** (ილია ზარაფიშვილი) საფლავი. მცველს შევეკითხე, მაგრამ მან შორს მინდორზე მიმითითა, აგერ ნადიკვარი, აქ რას ეძებო, მეწყინა ასეთი უკმეხი პასუხი და ძლივს გავაგებინე, რასაც ვეძებდი, მაგრამ მაინც ვერ მიჩვენა. მერე თელავში გადმომცეს, რომ განსვენებულ ნადიკვრელის საფლავს უბრალო ნიშანიც-კი არა აქვს და მალე თავისიანებიც ველარ იპოვნიანო.

ილია ზარაფიშვილს (ნადიკვრელი) დიდი დაზღვა მიუძღვის თელავის და მასთან კახეთ-ქიზიყის შვილთა წინაშე. იგი 30 წლის განმავლობაში მასწავლებლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში და ამ დიდ ხანში ბევრი თაობა აღზარდა და ყველას უნერგავდა სამშობლოს და თავის ერის სიყვარულს. რაც შეეხება სკოლის გარედ, იგი თელავის საზოგადოებრივ ცხოვრებას სათავეში ედგა და თითქმის 30 წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა, მისი სახლის კარები ხომ ყველასთვის ღია იყო. რაც შეეხება

დრო

ვარდი ატოკდა,
ატოკდა ვარდი,
დარჩა მარტო და
იწყო ნავარდი!..
მზემ ტბა კი არა,
ტბამ მზე მაჩვენა...
მაშ ეს იარა
ვინ დაასვენა
ჩემს სათუთ გულზე?
ამ გაზაფხულზე,
ამ გაზაფხულზე!..

და ვარდზე ნამი
მზედ გამოსკვივის,
ვით ყელ-საბამი
მომტირალ ქვრივის.
და ცრემლი ოდეს
მეც არ მშორდება,
სჩანს არასოდეს
განმეორდება
დრო დაკარგული...
მომიკვდა გული,
მომიკვდა გული!..

ი. გრიშაშვილი.

ბალკანეთის ომი

დეკეშები

15 **ნოემბერი.**

სოფია. ადრიანოპოლში ოსმალების უბანს ცეცხლი უკიდია. ერთი სომეხი ექიმი გაიქცა ბულგარებთან. მისი სიტყვით, მდგომარეობა ადრიანოპოლში აუტანელია. საჭმელი არ არისო. თუ ბულგარები ენერგიულ იერიშს მიიტანენ ადრიანოპოლი დაჰნებდებაო.

ცეტინე. ძეფემ მანიფესტით გამოაცხადა; მთელი ლაშქრის მოქმედების ხელმძღვანელობას თვითვე იღებს კისრად – გენერალი ვუკოტიჩი მთავარ შტაბის უფროსად დაინიშნა.

საზავო მოლაპარაკება.

სტამბოლი. ბულგარეთის და ოსმალეთის დელეგატები მეორედ შეჰხვდნენ ერთმანეთს მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკებამ ნაყოფი არ გამოიღო. ბევრსა ჰგონია შეთანხმება არ მოხდებაო. ოსმალეთის დელეგატებს მოუთხოვნიათ ბულგარები კირ-კილისისაკენ დახეულიყვნენ. შესაძლებელია ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია, მაგრამ ის რომ ადრიანოპოლის საკითხი შეუთანხმებლობის მიზეზია, ეჭვს გარეშეა.

სტამბოლი. გაზეთების სიტყვით, დროებითი ზავის თაობაზე მოლაპარაკების მაგივრად მალე დაიწყება მუდმივი საზავო მოლაპარაკება. არის სხვა ხმაც, ვითომ მოლაპარაკება შეწყვეტილია. მოვიდა ოსმან-ნაზიმფაშა. ბულგარეთის და ოსმალეთის დელეგატები მოსალაპარაკებლად ბუხჩეკიოსში შეჰხვდნენ. ბულგარები ადრიანოპოლის დათმობას მოითხოვდნენ. ოსმალებმა უპასუხეს; მაგ საკითხის განხილვა არ შეიძლება. [illegible] დელეგატები დაიშალნენ.

სტამბოლი. პატრიარქ იოკიმის დასაფლავება მოხდება 16 ნოემბერს.

ხოლერით გარდაიცვალა გერმანელი კორესპონდენტი ბურმილერი.

სტამბოლი. პატრიარქის თანამდებობის ასრულება მიანდეს სინოდის უფროსს დამსკეს მიტროპოლიტს გერმანოზს.

გაზეთებიდან.

ჩათალჯასთან.

10 ნოემბერს ოსმალებმა სიმაგრეებიდან გამოსვლა განიზრახეს, მაგრამ დიდი დანაკლისით უკუქცეულ იქმნენ. „ცეტინის“ ცნობით, სერბიისა და საბერძნეთის განთავისუფლებულ ჯარს ჩათალჯას წასვლა ებრძანა.

ადრიანოპოლის ალყა.

სოფიიდან იუწყებიან: საკითხოვნო არტილერიის დადგმის შემდეგ პირველად მოხდა დიდი ბრძოლა, რომელმაც მეტად საგრძნობელი ზიანი მიაყენა ადრიანოპოლის სიმაგრეებს. რამდენიმე საათის სროლის შემდეგ სრულიად ჩააჩუმეს ოსმალთა ბატარეები. ბულგარელებმა აიღეს ახალი, მნიშვნელოვანი პოზიციები. ტყვედ წამოყვანილთა სიტყვით, ციხეში სურსათი სრულიად აღარ მოიპოვება; მიუხედავად ამისა ოსმალნი მაინც მამაცურად იბრძვიან. ციხის დამცველნი ჯარის საუკეთესო ნაწილს შეადგენენ.

საბერძნეთის ცხენოსანი ჯარი.

ტატის მემკვიდრე ფლორინიდან იტყობინება: ცხენოსანი ჯარი პისოდერის ხეობაში დაეწია ოსმალთა ჯარს და ცხარე ბრძოლის შემდეგ დაატოვებინა 20 ზარბაზანი. მინისტრთა საბჭოს წინადადებით, მემკვიდრე კონსტანტინეს იმ დიდი ამაგისათვის, რომელიც მან მრავალ ბრწყინვალე გამარჯვებით სამშობლოს დასდვა, ღენერლობის სრული ხარისხი უბოძეს.

ფეთხი-ფაშის სიკვდილი.

მონასტირის ბრძოლის შემდეგ გაქცეული ფეთხი-ფაშა რესნის შეტაკებაში მოჰკლეს. სერბიელებმა სამ-

ბალკანეთი და ევროპა

დეკეშები.

ვენა. პალატა. სხდომის დასასრულს ილაპარაკა სოციალ-დემოკრატმა ზეიცმა. მან პროტესტი განაცხადა გაზეთ „არმეიტერო-ცეიტუნგის“ კონფისკაციის წინააღმდეგ. არმეიტერ-ცეიტუნგს“ დაუბეჭდია მოწოდება ბაელოში სოციალისტთა კონგრესისა. ზეიცმა უკმაყოფილება გამოაცხადა იმის გამოც, რომ პრეზიდენტმა არ გამოაქვეყნა სოციალ-დემოკრატების ინტერპელიაცია. (ხმაურობაა) პრეზიდენტმა განაცხადა: რადგანაც მდგომარეობა რთულია, შეკითხვის გამოქვეყნება დახურულ სხდომაზე მოხდებაო. ზეიცს უპასუხა შტელცელმა. პარლამენტი თანაგრძნობით მიეგება შტელცის სიტყვებს.

ბერლინი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ნაადრევად მიაჩნია საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა. ხმები, ვითომ გერმანიამ იკისრა ამ საქმის თაოსნობა, სიმართლეს მოკლებულია.

ვენა. „ფრემდენბლატი“ სწერს ავსტრია-ჰუნგრეთს, როგორც სხვა სახელმწიფოებს ჰსურს ბალკანეთის აწეწილ-დაწეწილი საქმეები თავის დონეზე დაიყენოს. ავსტრია ამცირებს მინიმუმად თავის მოთხოვნილებას და იმედი აქვს სერბიაც არ შეჰქმნის სიძნელეს უთანხმოების გამორკვევაში.

ბერლინი. იმპერიის კანცლერმა რეიხსტაგში განაცხადა: გარეშე პოლიტიკის თაობაზე მკითხავს მთავრობა მეორე კვირას გასცემს პასუხსო.

რომი. რუსეთის ელჩი ეპაასა „მესაჯეროს“ თანამშრომელს. მან გამოსთქვა უთანხმოების სასურველად დაბოლოვების იმედი.

ვენა. „ნეიეს-ვინერი-ჟურნალ“-ში შტენბერგი არწმუნებს ავსტრიის სლავიანებს: ამ კრიტიკულ დროს მიუდგეს ავსტრია-ჰუნგრეთის სახელმწიფოებრივ იდეას.

გაზეთებიდან.

გამწვავებული მდგომარეობა.

ბერლინიდან „რუსკ. სლოვოს“ ატყობინებენ: ქალაქში დიდი შიშიანობაა. გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რომ ომი აუცილებელია. გაზეთების საგანგებო დამატებანი იუწყებიან, რომ ბერლინში მყოფნი. ავსტრიელი აფიცრები და ჯარისკაცები საჩქაროდ გაიწვიეს სამშობლოშიო. ბირჟაზე შიშის ზარია. ქაღალდების ფასი ეცემა. ოფიციოზი და საგარეო საქმეთა სამინისტრო ამაოდ ცდილობენ ხალხის დამშვიდებას; იმ ხმების გავლენით, რომელნიც ავსტრიის დუნაის ფლოტილიის მობილიზაციასა და გალიციის ჯარის გაძლიერებას შეეხებოდა, კიდევ უფრო გამწვავდა მდგომარეობა. გავრცელდა აგრეთვე ხმა პოზნანის კორპუსის მობილიზაციის შესახებ.

ავსტრია – რუსეთის დამოკიდებულებანი.

[illegible] რუსეთის დამოკიდებულება საგრძნობლად გაცივდა. პეტერბურგსა და ვენას შორის დაწყებულმა მოლაპარაკებამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო არა თუ სერბიის ნავთსადგურის საკითხში, არამედ რუმინიისათვის ბულგარეთის ტერიტორიის მცირე ნაწილის დათმობაშიაც. კორესპონდენტების ცნობით, რუსეთი ვითომ, ურჩევს ბულგარეთს, არაფერი დაუთმო რუმინიასო.

ღენ. შემუა ბერლინში.

ამ დღეებში, ავსტრიის ტახტის მემკვიდრესთან ერდათ ბერლინს მივიდა. ავსტრიის მთავარ შტაბის უფროსი ღენ. შემუა, რომელსაც გერმანიის შტაბის უფროს ღენ. მოლტკესთან ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა. გაზეთების საგანგებო დამატებათა ცნობით, შტაბის უფროსებს ბა-

---

ანგელოზი, მახარობელი უკეთესი მომავალი, უსათუოდ მოვა, ხომ ყველა ჩვენთაგანის იმედია.

„მრავა-თა წელთა და საუკუნეთ
არ დაუტოვეს წამების ჯვარი—
გოლგოთას აგებს შენთვის პილატე,
შესაპყრობელად დაგეძებს ჯარი...
და მეც მარად ჟამს, მეც საუკუნოდ
თანა მსდევს მწუხრი, თანა მდევს
გლოვა;
ყოველ წელს ვდღეგარ საფლავის
ლოდთან
ზეცით ანგელოზს მოველ... მოვაო“,

შელაღადებს მაგდალინელი ღვთაებრივ მასწავლებელს, ტანჯულ ადამიანთათვის გოლგოთას მთაზე კაცობრიობის მტერთაგან ჯვარზე გაკრულს. დიაღ, ეს ლექსები პოეტის სულის უნაზეს და უწრფელეს ძალთაგანაა აკინძული და მიტომაა, რომ მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ერთგვარი დამახასიათებელია ბაბილინას პოეზიისა ლექსი: „სიცოცხლის ზღვაზეღ“. პოეტის ცხოვრებაში გაზაფხული გამეფებულიყო და იგიც სრულის ნეტარებით „ეწაფებოდა მზის სხივებს და ოცნების ზვირთებს სწურავდა“. მოულოდნელად ზღვა პოეტის ცხოვრებისა შეინძრა, აღელდა და ამბობკრებულმა ტალღებმა წარიტაცეს პოეტი. მაგრამ პოეტი არ ეძლევა სასოწარკვეთილებას და ბრძოლის გაგრძელებას აპირებს; ჰსურს კი მთელის არსებით გვერდზე მეგობრის ყოლა; მან „მთრთოლვარე გული თვისი ხოშალდს დაჰკიდა ნიშნად, ალამად“.

ზღვის შუაგულზე იგი შენიშნავს ვაჟკაცს, მარჯვედ მცურავს და შემდეგი სიტყვებით მიჰმართავს:

„მომღალა
ცხოვრების ზღვისა ღელვამა;—
გზაზედ გამიყვა, ვაჟკაცო,
ვით წყვდიად ღამეს ელვამა!“

ვაჟი უპასუხებს:

„ქალწულო,
რად მიგანებებ ზღვასაო?!
ფეხ-ქვეშ დაგიგდებ ჩემ გულსაც
მხოლოდ შენ,—არა სხვასაო“.

თითქოს ქალწულმა სასურველი პასუხი მიიღო, მას, მხოლოდ მას ჰპირდებიან ფეხ-ქვეშ დაგიგდებ გულსაო, მაგრამ ქალწულის შინაგან არსებაში იფურჩქნება ეჭვი ვაჟკაცის გულწრფელობაში; ნიავიც კი აფრთხილებს მას: „შენამდე ბევრი ყვავილი, მოსწყვიტა დამკნარაო“; იგი ურჩევს მას, მარტოდ-მარტო იბრძოლოს და ნუ მიენდობის ვაჟკაცის ლამაზ სიტყვებს:

„სცდები!—ეგ გმირი არ არის,
შმაგია ასე ყიალებს;
ვნებით დამთვრალი შენს ყვავილს
მოსწყვეტავს, გაატიალებსო“.

მარტო დარჩა ქალწული; მარტო ებრძვის იგი ზღვის ღელვასა და „ხან თავსა ჰხრის მისი ალამი, ხან მაღლა იწყებს ფრიალსა“. საზოგადოდ ბაბილინას ლექსების უმეტეს ნაწილს წიოელ ზოლივით გასდევს ძიება მეგობრისა, რომელთან ერთად საამურ იქნებოდა ბრძოლა ცხოვრების აბობოქრებულ ტალღებთან. ძიება ყოვლად შემძლე სიყვარულისა უმთავრესი თვისებაა ბაბილონას შემოქმედებისა. მისი აზრით სიყვარული ის ყოვლად შემძლე ძალაა, რომელიც ადამიანს სასწაულთ ჩაადენიებს; სიყვარული ის მანათობელი ვარსკვლავია, რომელიც აშუქებს ამ ქვეყნიურ ტანჯვა-მოსილ არსებობას. დეე, სდევნიდნენ პოეტს, დეე, შიმშილით სიკვდილი ელოდეს მას, მხოლოდ მისი სათაყვანებელი არსება იყოს მისი ერთგული და მას ეტრფოდეს, რადგან სიყვარული ის ძალაა, რომელიც არარად ჰქმნის ტანჯვას:

„ვსთქვი: ფრთები სეტყვამ დამიზიანა,
მეხმა და გრგვინვამ მომწყვიტა ცა-
თა...
მორევი ზღუდეთ გარს შემომევლო,
დამხვდა მიწაზედ დილეგი მზათა,
მაშინ... აი ის! აქ ახვენრა
ხატება ჩემი სიყვარულისა,—
ვიშ, ამა წუთსა! წამერთვა გლოვა,
მესმის ნეტარი ბგერა გულისაო“,
ამბობს პოეტი „სხივში“.

რაც გინდ უიმედობით იყოს მოცული პოეტი, სატრფოს მოგონება მას სულის ტკივილებს უყუჩებს. იგი სატრფოს თვალებს ადარებს მთვარეს და ეტყვის: „მსურს ნაწამებ შენს თვალებში ჩავიხედო, დავისვენო, მსურს ალერსი მოვისმინო, მშობლის ნანა გავიხსენო“.

დიახ, ასე ეძიებს პოეტი სიყვარულს, ეძიებს სატრფოს და ჰსურს ეს ძიება იყოს შეუწყვეტელი, დაუსრულებელი

„უხილავ იქმენ, უხილავ იქმენ!—
მე მსურს ერთ-ერთი კვლავ ვეძიოთ ჩვენ.
ზეგარდმო ღმერთი
შენა ხარ ერთი...
ნაყოფიერ მყავ, შთამბერე ძალი,
რომ აღვადგინო კვლავად ტაძარი,
შევდალადო ცას, მივმართო ლოცვას.
(„ღალადისი“)

ამგვარად პოეტს ჰსურს ეძიოს მუდამ თვისი სარტფო და ამ ძიებაში ჰპოულობდეს ძალას, რომ აღადგინოს კვლავად ტაძარი და კვლავ ღალადებდეს უზენაესისადმი თვის ლოცვა-მუდარას. ხშირად პოეტს შეეპყრობს ხოლმე სევდა-კაეშანი, როდესაც იგი სატრფოს თვალებში გაცივებულს ვნებას იხილავს, და მწარედ აღმოხდება გულიდან მწარე სიტყვები:

„ნეტარ-ხსენებავ, ჩაკვდი ჩემს
გულს—
ღმერთი აღარ მყავს,—ლოცვა აღარ
მსურს („მწუხრი“).

ამასთანავე პოეტს ხშირად უკლავს გულს და სიმშვიდეს უკარგავს შიში, ვაი თუ სატრფო მხოლოდ იმითაა შეპყრობილი, რომ გაფურჩქვნილი ვარდი მოსწყვიტოს, გასთელოს და შემდეგ კი შორს სტყორცნოსო. ეს შიში ბაბილინას ბევრ ლექსში გამოსჩანს.

ამით ვათავებთ ბაბილინას ლექსთა გარჩევას. ჩვენის აზრით პოეტის შემოქმედების მკვებავი ქვეყნიური ბრძოლა და სიყვარულია; მათ ღერძზე ტრიალებს ბაბილინას შემოქმედება იმდენად, რამდენადაც პოეტის სულიერი განწყობილება მათი აღწერისათვის შესაფერისია. სამწუხაროა, რომ ჩვენ ნიჭიერ პოეტ ქალს თვისი შემოქმედება ვერ გაუფართოვებია და ვერ გაურთულებია. მართალია მისი ლექსები მკითხველზე შესაფერ შთაბეჭდილებას სტოვებს, ხშირად სულის სიღრმემდისაც სწვდება, მაგრამ შთაბეჭდილება იგი ხანმოკლეა იმდენად, რამდენადაც იგი ხან-მოკლე სულიერი განწყობილების მამხილებელია. მკითხველს კი სწყურია, იხილოს მთელი, დასრულებული სურათი, რომელიც ღრმად ჩაეჭედოს მის სულში და ღრმა კვალიც დასტოვოს; ამას კი ვერ ჰქმნიან საერთოდ ჩვენი ახალგაზდა მწერლების ნაწარმოებნი.

ალ. წერეთელი.

*) ხაზი ყველგან ჩემია. ავტ.

საბჭომ გადასწყვიტა, უარი ეთქვას რუსეთის მთავრობას სრუტეებში შავი ზღვის ფლოტის გატარებაზე, რადგან ასეთი მოთხოვნილება პარიზის ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებაო.

რუსეთი.

პეტერბურგიდან ოდესაში მდგარმა გემებმა „ვორონეჟმა“ და „პეტერბურგმა“ ბრძანება მიიღეს სტამბოლისაკენ გასცურონ. ამბობენ ეს გემები სტამბოლში მყოფ რუსეთის საელჩოს დაექვემდებარებაო. სხვათა აზრით კი ამ გემებს უფრო რთული საქმე აქვთ დავალებული. ორთავ გემზე სამხედრო წესები შემოიღეს, თითო გემზე 3,000 მეომარი დაეტევა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტო)

საზღვარ-გარედ

15 **ნოემბერი.**

ნიუ-იორკი. 4 დამნაშავეს, რომელთაც როზენტალის მოკვლა ჰბრალდებათ, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

ლვოვი. ჟიცკევიჩის ძეგლთან მოხდა პოლონელ ნაციონალისტების კრება. მოვიდნენ დიდ-ძალი რიცხვი სტუდენტებისა, სოციალისტებისა და პროგრესისტებისა. წარმოითქვა ბევრი რუსეთის საწინააღმდეგო სიტყვები. ამის შემდეგ დემონსტრაციით გაიარეს მთავარ ქუჩებზე. შესდგნენ რუსულ გაზეთის რედაქციის წინ. პოლიციამ დემონსტრატები დაჰფანტა.

მადრიდი. მოაწერეს ხელი საფრანგეთის და ესპანიის ხელშეკრულებას მაროკოს საკითხის თაობაზე.

მადრიდი. პალატამ დაადგინა კანალეხასის ქვრივს და შვილებს ებოძოთ ჰერცოგობის ტიტული.

მადრიდი. დაარსეს პოლიციის მთავარი გამგეობის უწყება.

ბერლინი. რეიხსტაგის პრეზიდენტი კემპფი ხელმეორედ აირჩიეს იმავე თანამდებობაზე.

რუსეთი

პეტერბურგი. შინაურ საქმეთა სამინისტროს შეაქვს სახელმწიფო სათათბიროში საქალაქო ექიმების ჯამაგირის მომატების კანონ-პროექტი.

კიევი. გაიმართა სლავიანთა დღე. გაწეულა სლავიანთა სასარგებლოდ 400.000 ნიშანი—ემბლემა სლავიანთა ძლიერებისა. შემოსავალი რამდენიმე ათიათას მანეთს უდრის.

რიგა. ქარხანა „ატოლა“ს ცეცხლი გაუჩნდა. ზარალი 50.000 მანეთია.

ახალქალაქი. დილის 7 საათზე მიწა ოდნავ იძრა.

მოსკოვი. გაიხსნა 200 ბრმა ბავშვისთვის თავშესაფარი. თავშესაფარი ღირს 300,000 მანეთად.

უცხოეთი

ესპანიის ახალი მინისტრ-პრეზიდენტი.

მოკლულ კანალეხასის ნაცვლად ესპანიის მინისტრ-პრეზიდენტად აირჩიეს დეპუტატთა პალატის თავჯდომარე გრაფი რომანონესი. ახალი მინისტრი 45 წლისაა. იგი ბევრჯერ იყო მინისტრად სხვა და სხვა ლიბერალურ კაბინეთში. კარგად არის მიღებული სასახლეში. რომანონესი წინად ძადრიდის ძოურავად იყო. ის ცნობილია, როგორც ენერგიანი, ძომქმედი და აირდაპირი პოლიტიკური მებრძოლი. რომანონეს დიდი პოპულიაროობა აქვს დამსახურებული ხალხში. რომანოხესმა არჩევისას გააცხადა: გავაგრძელებ კანალეხასის ნლიბერალურ პოლიტიკასო.

ჩინეთი და მონღოლია

მონღოლიის ამბები ძლიერ აღელვებს ჩინეთს: ამ ბოლოდროს იეგოლიდან პეკინში ცნობა მივიდა, ჩილის პროვინცია მონღოლებმა დაიპირესო. ჩინეთში შიში მით უფრო ორკეცდება, რომ რუსეთ-მონღოლიის ხელშეკრულობაში განსაზღვრით არ არის ნაჩვენები მიჯნა ჩინეთის და მონღოლიის მფლობელობისა. კალგანი სავსეა ჩინელებით, რომელნიც მონღოლებმა გამოსდევნეს მათ საცხოვრებელ ალაგიდან. ჩინეთი რუსეთს მტრულად უყურებს. ჯარში ბევრი მოხალისეა ჩარიცხული. 4 ნოემბრიდან ბევრი სამხედრო მატარებელი იგზავნება მონღოლების დასამშვიდებლად. ჯერ ჯერობით ჩინეთი კმაყოფილდება შიდა მონღოლიის დაშოშმინებით. გარეშე მონღოლიაში რუსეთ-მონღოლიის ხელშეკრულობას ბევრი არ თანაუგრძნობს. მონღოლების 9/10 უკმაყოფილოა ხელშეკრულებისა. მონღოლელ თავადების სიტყვით, ეს ხელშეკრულობა მხოლოდ ურგასთან არის დადებულიო.

თეატრი და ხელოვნება

ნაძალადევის თეატრი. ნაძალადევის თეატრისათვის საჭიროა თანამშრომელი ქალნი და ვაჟნი. მსურველთ უნდა მიჰმართონ რეჟისორსა და წრის წევრს სვიმონიძეს.

ნაძალადევის თეატრი. ოთხშაბათს, 14 ნოემბერს, ქ-ნ ჩერქეზიშვილისა, ქ-ნ ჩიქოვანისა და ბ-ნ ნ. გოცირიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იყო ა. ცაგარლის ცნობილი კომ. „ხანუმა“.

ყოველგვარ გასართობ ადგილებს მოკლებული, ნაძალადევის თეატრში მოსიარულე მუშა ხალხი სიამოვნებასა ჰგრძნობდა, გული ნეტარებით უძგერდა და თავის აღტაცებას იმ აპლოდისმენტებით ჰხატავდა, რომლის ღირსნიც იყვნენ დიდებულ ნიჭით დაჯილდოვებულნი მსახიობნი ქ. ჩერქეზიშვილი (ხანუმა) და ბ. გოცირიძე (აკოფა).

მშვენივრად ასრულებდნენ თავის როლებს ქ. ჩიქოვანი (სონა), ქ. გოგაშვილისა (ქაბატუა და სარა—ორ როლს ასრულებდა) და ბ. სადულიშვილი. (ტყუილ კოტრიანეი)

არა უშავდათ-რა ქ. აფხაზიშვილს (კნ. თეკლე), ბ. სვანაძეს (ვანო ფანტიაშვილი) და ბ. კულუხაშვილს (კოტე), თუმცა ეს უკანასკნელი სცენაზე თავისუფლად ვერა გრძნობდა თავსა.

ბ. გოგაშვილი (ტიმოთე) სცდილობდა დაეხატნა ტეტია გლეხი, მაგრამ ცოტას აჭარბებდა.

ხალხი წარმოდგენას ბევრი დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დაიშალა.

იმედია უყურადღებოდ არ დასტოვებენ სხვა მსახიობნიც ნაძალადევის თეატრს და მუშა ხალხს გრძნობაგონებას გაუღვიძებენ. **მიშო.**

ჭიათურა. „ხალხის მტერი“—ანუ ექიმი შტოკმანი, ეს პირველი პიესაა მიმდინარე სეზონში, რომელიც ახლად მოწვეულ მსახიობ დ. ჩარკვიანის რეჟისორობით დაიდგა ჭიათურის სცენაზე. თქმა არ უნდა, ძნელია პროვინციის სცენისათვის ისეთი კლასიკური პიესის წარმოდგენა. მაგრამ ენერგია და საქმის სიყვარული სცენის მოყვარეების დიდ სიძნელესაც სძლევს ხოლმე. 11 ნოემბერს წარმოდგენილ „ექიმ შტოკმანში“ მონაწილეობას ღებულობდა ადგილობრივი სცენის მოყვარეთა ჯგუფი მსახიობ დ. ჩარკვიანის მონაწილეობით, რომელსაც პიესის უმთავრესი როლი (ექიმი შტოკმანი) ეკისრნა. ნიჭიერი და გამოცდილი მსახიობია ბ-ნი დ. ჩარკვიანი; გარეგნული შეხედულობა, მიმიკა, დიქცია და ცოცხალი ტემპერამენტი—ყველა ხელს უწყობს მისს სამსახიობო ღირსებას; მან ცოცხლად ჩაატარა როლი იდეით გატაცებულ, გულუბრყვილო, მაგრამ თავ-განწირულ-მოუსვენარი ექიმ-შტოკმანისა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნმა ჩარკვიანმა შედარებით ის შთაბეჭდილება ვერ დასტოვა, რაც მისი ამ როლში თამაშით რამდენიმე წლის წინად განგვიცდია ჩვენ, და, ვფიქრობთ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ზოგიერთი მოთამაშე ხელს ვერ უწყობდა მისს თამაშს.

დინჯი ხასიათისა და პრაქტიკული ჭკუის პატრონია ქალაქის თავი პეტრე შტოკმანი, რომლის ტიპი თითქმის უნაკლოდ გადმოქცა ბ-ნმა გ. ანთელიძემ.

კარგი იყო ბ-ნი გომელაური ასლაკსენის როლში. მან ნათლად დაგვანახვა, ორპოფ-მშიშარა—„გონიერი ზომიერების და ზომიერი გონიერების“ დევიზის მატარებელი ადამიანი. მისი თამაში ბუნებრივი იყო და საზოგადოებაც ნასიამოვნები დარჩა მით.

შეგნებულად ჩაატარეს თავიანთი როლები ჰანიშვილმა (გოფსტადი), ა. მითაიშვილმა (ბილინგი) და ქ-ნმა საღარაძემ (პეტრა). რა ურიგო იყო ამ. მითაიშვილისა (ქალბ. შტოკმანისა), მდიდარ მექარხნის (მორტენ კილი) სულიერი განწყობილება და ინსტიკტები გამდიდრების საქმეში ურიგოდ არ ემჩნეოდა ს. ტარუაშვილს, რომელსაც მისი გარეგანი შეხედულობა ხელს უწყობდა ამ როლის კარგად შესრულებაში. დანარჩენნი ანსაბლს ხელს უწყობდენ, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ შტოკმანის პატარა ვაჟებს (აბაშიძე, ოკუჯავა) ბავშურ სახეს ართმევდა მათი გრძელი პალტოები, რომელიც მხრეებზე წამოესხათ და ისე გამოდიოდენ უკანასკნელ მოქმედებაში. საზოგადოდ, პიესას ურიგოდ არ ჩაუვლია. წარმოდგენას ხალხი, შედარებით, ნაკლები დაესწრო. **ტიერ.**

P. S. ილიას საღამო, რომელიც 10 ნოემბერს უნდა გამართულიყო, სხვა და სხვა მიზეზთა გამო 21 ამ თვისათვის გადაიდო. **ტ—რ.**

ალაგირი კვირას, 4 ნოემბერს, ქართული სკოლის დარბაზში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იყო „რაც არ მერგება არ შემერგება“ ვოდ. ერთ მოქ. ვ. გუნიასი, „ადამ და ევა“ ვოდ. ორ მოქ. და „ოცოლქრმობის წინააღმდეგ“ ვოდ. ერთ მოქ. წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა, ხალხი ბლომად დაესწრო, რადგანაც ამინდმა ხელი შეუწყო და თანაც დიდი ხანია აღარა წარმოუდგენიათრა. წმინდა შემოსავალი დარჩა 35 მან. 13 კაპ. მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ და დაგვეხმარენ გარდა სცენის მოყვარეთა ილია გუგეშაშვილი, ილია ნ. ლობჯანიძე, და ნესტ. ლობჯანიძე, რისთვისაც უცხადებ მათ უღრმეს მადლობას. **ჯ. მ.**

წერილი რედ. მიმართ

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემელ სარედაქციო კომისიამ გამოაცხადა, ნიკო ახმეტელაშვილი ჩვენი აგენტი არ არის, და ამიტომ არავითარ პასუხისმგებლობას არა ვკისრულობთ იმ პირთა წინაშე, რომელთაც ფული მისთვის მიუციათ. ამით ვაცხადებ, რომ მე, მართლაც, გამომცემლობის აგენტი არა ვარ, ფულს ჩემის თაოსნობით ვაგროვებ და ჩემს ხელისმომწერთაც მარტო ჩემთან უნდა ჰქონდეთ საქმე, მაგრამ, რომ ჩემს ხელის მომწერთ რაიმე ეჭვი არ დაებადათ, ვაცხადებ, რომ არც ერთი კაპეიკი არ დაეკარგებათ და ფულიც უკლებლივ გადაეცემა გამომცემელს.

ვსარგებლობ შემთხვევით და ეხლავე ვსთხოვ იმათ, ვისაც სრულიად არ მოუცია ჩემთვის ფული, დროზე შემოიტანონ, რომ მეც დროზე გადავცე გამომცემლობას.

ვსთხოვ იმ გაზეთებს, სადაც გამომცემლობის ცნობა იყო მოთავსებული, ეს განმარტებაც გადაბეჭდონ.

ნიკო ი. ახმეტელაშვილი.

დ. ხონის ქალთა წრემ ჩემდამო რწმუნებულ სასწავლებლის სამს უღარიბეს შეგირდს აღმოუჩინა ნივთიერი დახმარება სწავლის ფულის გადახდაში და წარმოადგინა კიდეც 14 მანეთი, რისთვისაც შეგირდებისა, მათი მშობლებისა და პირადად ჩემის მხრითაც უგულითადეს მადლობას ვუძღვნი.

ხონის სამოქალაქო სასწავლებლის გამგე. **ს. მამალაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

НИВА еженедѣльный иллюстрированный журналъ. ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1913 г. ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

52 №№ журнала: романы, повѣсти, разск., картины, рис. въ краскахъ, иллюстраціи соврем. событій.

52 КНИГИ, отпечатанныя четким шрифтомъ, въ которыя войдетъ:

12 КНИГЪ ЕЖЕМѢСЯЧНАГО ЖУРНАЛА „ЛИТЕРАТУРНЫЯ И ПОПУЛЯРНО-НАУЧНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ“.

40 книгъ „СБОРНИКА НИВЫ“, содержащихъ:

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ Ѳ. И. ТЮТЧЕВА.

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ Леонида АНДРЕЕВА.

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ В. ВЕРЕСАЕВА.

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ МОЛЬЕРА.

12 №№ „Ежемѣсячныхъ новѣйшихъ модъ“.

12 листовъ выкроекъ и рисунк. рукодѣльн. работъ.

1 „ОТРЫВНОЙ ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ КАЛЕНДАРЬ“ на 1913 г.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА „НИВЫ“ со всѣми приложеніями на годъ: безъ доставки: въ СПБ.—6 р. 50 к., въ Москвѣ, у Печковской 7 р. 25 к., въ Одессѣ, „Образованіе“ 7 р. 50 к.; съ дост. въ СПБ.—7 р. 50 к., съ пересылкою—во всѣ мѣста Россіи—8 р. За границу—12 р.

Разсрочка платежа въ 2, 3 и 4 срока. Иллюстрирован. объявл. о подпискѣ высылается безплатно.

Адресъ: С.-Петербургъ, въ Контору журнала „НИВА“, улица Гоголя, № 22.

1600. ვეტლური 150503.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-ხაბარგი № 8, საღ. 6. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ. **ერევანისკენ: სახ.-სახ.** № 8,7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4,3, ღამ. 1 ს. 11 წ. **ყარსისკენ: სახ.-სახ.** № 6,5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-სახ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-სახ. № 83,7, საღ. 5 ს. 28 წ. **ყარსიდან: სახ.-სახ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-სახბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-სახ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-სახ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-სახ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-სახ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-სახ** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-სახბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-სახ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-სახ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-სახ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-სახ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-სახ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 5 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპანიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და **ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 II, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II, საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 II, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2 12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით,

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. 1 და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლასს. მატარებლის ნომრები 3 და 4.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„**ვაჭრობა-ნავოსნობის**“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) **პირდაპირი, საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.

№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„**კავკაზი** და **მერკური**“

საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.

ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, **ხუთშ** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თამეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან [illegible] ექიმი დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭმარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **ბ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ბ. მირაქერი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, რუსულ-ტუნტუ ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მეცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესებიერების შემოღებაში და ამ-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ აღიარებენ, ცუდს საპმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, ახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაღლაკნის მოედანზე.

ვეძებ ადგილს ძიძისას

ფასი მორიგებით. **მისამართი:** ქალ. ოზურგეთი ნიკო ჩიტაშვილთან.

3024.

სამშოგიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ხიზმრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში [illegible] ზოგადოც. ორსაწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის სახოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე [illegible] იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა დ. [illegible] ახლელებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს. [illegible] მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 2037.

ექიმ ნავასარდიანის პირველი პერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასარიანი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და [illegible]

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო., ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. [illegible] ავადმყოფ. ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქალი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

1078 დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

გაფრთხილება სოფლის მეურნეებს

ვისაც სწადიან აღადგინოს თავის ვენახი ამერკული ვაზების საშუალებით, უნდა უფრთხილდეს **რუპესტრიზე** ნამყენების დარგვას, ღრმა ნაყოფიერს, სობელს—წყლიანსა, მძიმე თიხნარსა და მტკიცე, მაგრამ თიხანარევს მიწებზე, სადაც იძლევა უნდილსა, სუსტსა და ავათმყოფ ვენახებს, ცოტა მოსავალს, მდარე ღვინოსა და ძლიერ ხმება. ყოველგვარ დარიგებას იძლევა უფასოთ **ვ. ტიებო ქუთაისში.** 1587.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჭოლოკაძის თხზულებანი

I ტ „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.

II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 „

III „ „ნაააზრევი“ „ „ „ „ „ „ 65 „

IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 „

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კავიარ.) **ხიზილალა,**

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგვეოლოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის

სელიოტკები

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დდე საკუთარი საძრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ჟიტკა), ორაგული, თართი, ტარადანა, ლოქო და სხვა, და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

შავი ხიზილალა